



საიაში სამდღიანი რეგიონული სემინარი გაიმართა

საია მასპინძლობს სამ დღიან სემინარს, რომლის ორგანიზატორია საიას პარტნიორი ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი“ (EHRAC). სემინარს საიას იურისტებთან ერთად ესწრებიან იურისტები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან: სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და უკრაინა. სემინარის მიზანია სტრატეგიული სამართალწარმოების ხელშეწყობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. რეგიონისთვის დამახასიათებელი სისტემური პრობლემატიკიდან გამომდინარე, სემინარზე განხილულ საკითხთა შორის განსაკუთრებული ყურადღება არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მტკიცებულებათა მოპოვებისა და დაკომუნიტირებას დაეთმო. სპიკრებს წარმოადგენდნენ დარგის კვლავიფიციური ქართველი და უცხოელი ექსპერტები. სემინარის ბოლო დღეს, 5 ივნისს, დამსწრე სასზოგადოებას ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი თომას ჰამერბერგი ესაუბრა.